

თინათინ ღვინაძე

## ვარლამ თოფურია — ქართული ენის სტილისტიკის მკვლევარი\*

ბ-ნი ვარლამი მრავალმხრივი მკვლევარი და ამავე დროს დიდი პედაგოგი იყო. მისი მეცნიერული შემკვიდრეობიდან<sup>1</sup> ლაკურის, სვანურის, ქართული დიალექტოლოგიის საკითხების კვლევის გარდა უაღრესად ფასეულია საკუთრივ ქართული სალიტერატურო ენის, მისი ფუძედიალექტის — ქართლურის კვლევა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, ნარკვევები ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან და მრავალი სხვა, რომელთა სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და დაგვაცვილებდა მთავარ სათქმელს.

ამ შემკვიდრეობიდან ცალკე უნდა გამოიყოს წერილების სერია მშობლიური ენის სწავლების საკითხებზე საშუალო და უმაღლეს სკოლაში. ამ წერილებში ანგარიშგასაწევი დაკვირვებები და დასკვნებია ქართული ენის უკეთ სწავლების თვალსაზრისით.

ქართული და ქართველური ენების მეცნიერული კვლევის პარალელურად ვარლამ თოფურია თავიდანვე ყოფილა დაინტერესებული ქართული სალიტერატურო ენის სწავლების სირთულეებით. ეს შემთხვევითი არ იყო, ვინაიდან უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1923 წლიდანვე მუშაობდა თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში და სიცოცხლის ბოლომდე

\* წაკითხულია მოხსენებად საჯარო სხდომაზე უნივერსიტეტში 2000 წლის 8 იანვარს, ვ. თოფურიას ხსოვნის დღეს.

<sup>1</sup> ვ. თოფურიას შრომების I ტომი 1967 წელს დაიბეჭდა, ხოლო III — 1979 წ.; II ტომმა კი დღის სინათლე მხოლოდ 2002 წელს იხილა (საიუბილეოდაც ვერ მოესწრო). IV ტომი კვლავ ელის გამოქვეყნებას.

არ მიუტოვებია პედაგოგიური საქმიანობა. ამიტომ იყო, რომ სწავლების პროცესში გამოვლენილი სხვადასხვა ხასიათის სიმწე-  
ლებები იპყრობდა დიდი მეცნიერისა და ასევე დიდი პედაგოგის  
ყურადღებას. ეს ცალკე და უფრო ფართო საუბრის თემაა. ამჟე-  
რად კი გამოვყოფთ საკითხებს ქართული ენის სტილისტიკის  
სფეროდან.

ქართული ენის სტილისტიკის საკითხები ბ-ნ ვარლამს სპე-  
ციალურად თითქოს არ უკვლევია. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ  
წერილში (1966 წ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ —  
„მცირე შენიშვნები ქართულ ლექსიკასა და ლიტერატურულ ენა-  
ზე“) მეცნიერი აღნიშნავს: „საფუძვლიანად არის შესწავლილი  
ქართული ენის აღნაგობა, მისი გრამატიკული წყობა და საშუა-  
ლებანი, მაგრამ სტილისტიკა შესწავლის პროცესშია, ჯერ კიდევ  
დასადგენია სტილისტიკის საგანი და საზღვრები“. ამ დროისთვის  
კი უკვე დაბეჭდილი იყო ვარლამ თოფურიას ნაშრომი „ქართუ-  
ლი ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (1965 წ.), რომე-  
ლიც წმინდა ორთოგრაფიული საკითხების გარდა შეიცავს მრავალ  
საკითხს სტილისტიკიდან, კერძოდ კი, როგორც ლექსიკური  
სტილისტიკის, ისე მორფოლოგიური და სინტაქსური სტილისტი-  
კის სფეროებიდან. უფრო საყურადღებო კი ის არის, რომ ზოგი-  
ერთ ამ საკითხზე საუბარია ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომშიც —  
„ქართული ენა“, რომელიც განაკვეთებად უნივერსიტეტის სტამ-  
ბაში ლითოგრაფიული წესით მცირე ტირაჟით დაბეჭდილია  
1932-33 წლებში<sup>1</sup>. ბ-ნი ვარლამის ავტორობით შესრულებულია 4  
განაკვეთი და მე-10 განაკვეთის ნაწილი, რომელიც სახელთა  
წარმოებას შეეხება.

პირველსავე განაკვეთში, რომელიც ქართული ენის კურსის  
შესავლის ფუნქციას ასრულებს, სპეციალურად არის საუბარი  
სალიტერატურო ენის სახეებისა და ფორმების შესახებ. II განაკ-  
ვეთში დასმულია კითხვა: რომელი ქართული ენა უნდა შევისწავ-

<sup>1</sup> ეს განაკვეთები უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამიტომ  
ვ. თოფურიას შემკვიდრების: ნანა და გურამ თოფურიების — ნებართვითა და  
დახმარებით, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკების: ლია  
ლევინას და თინათინ ღვინაძის მიერ მომზადდა დასაბეჭდად, ხოლო ენათმეც-  
ნიერების ინსტიტუტისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხარ-  
ჯით ხელახლა გამოიცა ისინი ერთად 2000 წელს სახელწოდებით: ვარლამ  
თოფურია, ქართული ენა, განაკვეთები I, II, III, IV და X განაკვეთის ნაწილი.

ლოთ? პასუხი, რასაკვირველია, ერთადერთია: „შევისწავლოთ დღევანდელი (მაშასადამე, ცოცხალი) სალიტერატურო ენა, ის ენა, რომელიც მწერლობაში იხმარება, რომელზედაც იცემა ჟურნალ-გაზეთები, ბრძანებები, განკარგულებანი, კანონები, სასკოლო სახელმძღვანელოები, ლიტერატურის ძეგლები, პოლიტიკური წერილები, წიგნები და სხვა“<sup>1</sup>. მაგრამ იქვე მეცნიერი გახაზავს, რომ თანამედროვე ქართული ენის მრავალი მოვლენის ასახსნელად აუცილებელი გახდება სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა სოციალური ფენისა და სხვადასხვა კუთხის მეტყველების ფაქტების გათვალისწინება. ამავე ნაშრომში გახაზულია სხვაობა, ერთი მხრივ, ქართულ ენასა და ქართულ სალიტერატურო ენას შორის და, მეორე მხრივ, სასაუბრო და წიგნურ (ანუ წერილობით) — სალიტერატურო ენის ამ განსხვავებულ ფორმებს შორის. აქვეა საუბარი ქართული სალიტერატურო ენის **განვითარების** პერიოდებად დაყოფის შესახებ. ამ ზოგადი საკითხების გარკვევის შემდეგ მკვლევარი ეხება სახელთა სწავლებას და ბევრ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გვაცნობს სტილისტიკური დაკვირვების შედეგებსაც.

სტილისტიკის, როგორც ქართული ენათმეცნიერების დარგად ჩამოყალიბებისათვის ბევრი რამ გააკეთა აკად. ვ. თოფურია-ამ. „ლიტერატურული ენა გარკვეულ ნორმებს, წესებს ექვემდებარება. ეს წესები გამოვლენილი და დადგენილია ენის განვითარების ისტორიით“ — წერდა იგი. აქედან ჩანს, რომ სალიტერატურო ენის ნორმების ძიება სტილისტიკის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად მიაჩნდა.

სტილისტიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ვ. თოფურია თვლიდა მწერლის ენის შესწავლას. ცნობილია მისი დაკვირვებანი ბესიკის ენის შესახებ მწერლის თხზულებების გამოცემისას. მისი ხელმძღვანელობით არის შესრულებული მრავალი ნაშრომი სხვადასხვა მწერლის ენის შესასწავლად<sup>2</sup>.

მწერლის ენას ზოგადად მკვლევარი თვლიდა წიგნურ-ლიტე-

<sup>1</sup> ვარლამ თოფურია, ქართული ენა, 2000 წ., გვ. 41-42.

<sup>2</sup> გიორგი ერისთავის ენა — ოთარ ურიდიას მიერ, გრ. ორბელიანისა — ნარგიზა გოგუაძის მიერ, ილიასი — გიორგი შალამბერიძის მიერ, ვასილ ბარნოვისა — ელენე კოშორიძის მიერ, არჩილისა — ლალი კობიაშვილის მიერ და სხვ.

რატურული ენის ერთ-ერთ სახეობად, რომელიც თავის მხრივ თავისებურ სტილებად რეალიზდება: „ყოველ ქანარს თავისი ფორმა აქვს. სათანადო ფორმის წარმოქმნის იდეა, შესაბამისი გრამატიკული სტრუქტურა, სტილისტიკა, მხატვრული ლიტერატურის დამახასიათებელი ელემენტები და სხვ.“ — წერდა იგი. ეს კი ფაქტობრივად ფუნქციურ სტილისტიკაზე მსჯელობაცაა. ყველანაირი სტილისათვის მეცნიერი აუცილებლად მიიჩნევდა აზრის გამონათქვამის ბუნებრიობას, სინათლესა და გასაგებობას.

„შეცდომაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ლექსი ყველაფერს აიტანს, თუ იგი ქლერადია, რიტმი მწყობრია, რითმა მოხდენილია, სიტყვები და გამოთქმები მხატვრულ სახეს ქმნის, იდეურადაც მისაღებია და, როგორც ამბობენ, თანამედროვეობას ეხმაურება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ლექსი ვერ იტანს, თუ მნიშვნელობა, შინაარსი ყოველი გამოთქმისა, ყოველი წინადადებისა არაა ბუნებრივი, ნათელი, გასაგები“. თუ მკვლევარი ასე მკაცრი იყო სტილისტიკის პოზიციიდან ლექსის ენის შეფასებისას, ბუნებრივია, როგორი უნდა იყოს მოთხოვნა მხატვრული პროზის, პრესისა და სამეცნიერო თუ პედაგოგიური ხასიათის ლიტერატურის ენის მიმართ.

„საჭიროა ქართული ლიტერატურული ენის ღრმად შესწავლა, მისი აღნაგობის ცოდნა, ნორმებისა და ლექსიკის დაუფლება, სიტყვაწარმოების წესების ჭეშოვნად გაცნობა და გამოყენება, თუ გვინდა აზრი ნათლად გამოვთქვათ, ნაწარმოები მხატვრული გამოვიდეს და ენაც არ დავამახინჯოთ“<sup>1</sup> — ასკვნიდა ბ-ნი ვარლამი საერთოდ მხატვრული ენის შესახებ.

ვ. თოფურია მრავალი სტატია ეხება ქართული ენის სტილისტიკის პრაქტიკულ საკითხებს. მაგ.: 1. „ერთი სიტყვის მართლწერის შესახებ“, „კომ. აღზრდა“, 1955 წ. 2. „გაგზარდება თუ გაგზარდება“ — „სოფლის ცხ-ბა“ 1960 წ.; 4. „ნუ ვკარგავთ საჭირო ქართულ სიტყვას“, „თბილისი“ 1959 წ.; 5. „სათუთად მოვეკიდოთ ქართულ სიტყვას“, „სახალხო განათლება“ 1966 წ. და სხვანი.

ამ და კიდევ მრავალ სხვა პრაქტიკულ საკითხებს სპეციალურად და უფრო ვრცლად ეხება მკვლევარი ნაშრომში „ქარ-

<sup>1</sup> ვ. თოფურია, მცირე შენიშვნები ქართულ ლექსიკასა და ლიტერატურულ ენაზე, ქსკს, V, გვ. 12.

თული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (1965), რომლის სახელწოდებაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთობ მოკრძალებულია, ვინაიდან წმინდა ორთოგრაფიული და ორთოგრაფიული სტილისტიკის (თუ შეიძლება ასეთი ტერმინი ვიხმაროთ და ალბათ, შეიძლება ლექსიკური სტილისტიკის, მორფოლოგიური სტილისტიკის, სინტაქსური სტილისტიკის მსგავსად) ფარგლებს ბევრად სცილდება.

ამ ნაშრომის ერთ-ერთ თავში ვრცლად არის დახასიათებული სალიტერატურო ენა, აღნუსხულია მისი ნიშან-თვისებები. ამ საკითხზე „ქართული ენის განაკვეთებშიც“ არის საუბარი ჯერ კიდევ 1932 წელს. ასევე საყურადღებოა მსჯელობა სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევების მიზეზებზე (გვ. 34-48). სიახლედ და უაღრესად მნიშვნელოვნად გვეჩვენება პროფ. გ. ახვლედიანის მოთხოვნათა მიხედვით სალიტერატურო ქართული წარმოთქმის (ორთოეპიის) საკითხებზე მსჯელობა (გვ. 52-54). საინტერესოა დაკვირვება სინონიმური სიტყვების ხმარების საკითხზე **სუფთა** და **წმინდა** სიტყვების მაგალითზე (გვ. 66-69). ეს მონაკვეთი უცვლელად გადმოიბეჭდა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ I ტომში (1972 წ. გვ. 41-43), სამწუხაროდ, უმისამართოდ. ეს კი ისტორიისათვის აუცილებელია. ამ საკითხზე პირველი დაკვირვება ბ-ნი ვარლამისა 1959 წელს გაზეთ „თბილისში“ არის გამოქვეყნებული.

**წმინდა** და **სუფთა** სიტყვების სტილისტიკურ შესაძლებლობებზე მსჯელობა არის საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა შეისწავლებოდეს ენის ლექსიკური სტილისტიკა და როგორ უნდა შედგეს ქართული ენის სიტყვათა ლექსიკურ-სტილისტიკურ შეხამებადობათა ლექსიკონი, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს თანამედროვე სალიტერატურო ენას.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აკად. ვარლამ თოფურიას ლექსიკოგრაფიულ საქმიანობაშიც აირეკლა ამგვარი, ლექსიკურ-სტილისტიკური დაკვირვებანი, კერძოდ, მისი აქტიური მონაწილეობით შედგენილ თარგმნით ლექსიკონებში (ქართულ-რუსულში გ. ახვლედიანთან ერთად, რუსულ-ქართულში სიმ. ყაუხჩიშვილთან ერთად) და „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (ივ. გიგინეიშვილთან ერთად). მაგ. ქართულ-რუსულ ლექსიკონში **ადაბლებს** ფორმასთან არ არის დავიწყებული და-

**მდაბლება; ადგენს ფორმასთან — დადგენა, წარდგენა, შე-  
დგენა და ა. შ.**

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც“ მრავლადაა ლექსიკურ-სტილისტიკური და მორფოლოგიურ-სტილისტიკური მითითებანი. მაგ. ასე: 1. **ისმება || ისმის, ისმებოდა || ისმოდა** (კითხვა) 2. **ისმება** (წყალი).

სიტყვათა შენამებადობის შესახებ ამ მითითებას ბუნებრივად მოსდევს წმინდა ორთოგრაფიული ხასიათის ჩვენება: (ისმევა კი არა) **ისმება**. ანდა: **მოუყვანს** მაგალითს [და არა **მოუტანს** მაგალითს].

გრამატიკულ-სტილისტიკურ მითითებად გვესახება ასეთი ორთოგრაფების შესახებ ყურადღების გამახვილება: **მოსდის, მოსდისოდა** მას სისხლი, მაგრამ **მოდის, მოდიოდა** ბინისაკენ.

ანდა: **მოუყვება, მოუყვა** ის მას ამბავს; **მოჰყოლია** ამბავს, შესაბამისად **უზეც** ასეა: **უყვება** ის მას მას.

ეს კი იმის დასტურია, რომ ბ-ნი ვარლამის ნაკვლევში ქართული ენის სტილისტიკის საკითხები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, მრავლადაა. ამან დიდად შეუწყო ხელი ქართული ენის სტილისტიკის ენათმეცნიერულ დარგად ჩამოყალიბებას.

მისგანაა დავალებული ამ დარგში მომუშავე ყველა მკვლევარი. ქართული ენის სასკოლო კურსის (როგორც საშუალო ისე უმაღლესი სკოლის) შედგენისათვის აკად. ვ. თოფურიას მეტად ფასეული შეხედულებების შედეგია, რომ თანამედროვე საშუალო სკოლის ზედა, მე-10-11 კლასებისთვის უკვე არსებობს სახელმძღვანელოები სტილისტიკის საკითხებითაც; უმაღლესი სკოლის პრაქტიკაში კი დამკვიდრდა კურსი „ქართული ენის სტილისტიკისა“ თუ „პრაქტიკული სტილისტიკის“ სახელწოდებით.

მართალია საშუალო სკოლის ქართული ენის კურსის პროგრამა და სახელმძღვანელოებიც ჯერ კიდევ ბევრად დასახვეწია, მაგრამ ეს რომ უკვე არის **თანამედროვე ქართული ენის კურსი** სტილისტიკის საკითხებითურთ და არა მხოლოდ **ქართული ენის გრამატიკის კურსი**, ამაში დიდი აკად. ვარლამ თოფურიას დამსახურება.